ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული 2 ერთეული უძრავი ქონების ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით შექმნილი დროებითი საინვენტარიზაციო კომისიის

დასკვნა

ჩოხატაური 16 იანვარი 2024 წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 15 იანვრის №ბ46.46240158 ბრძანებით შექმნილი დროებითი საინვენტარიზაციო კომისია შემადგენლობით:

- გია გიორგაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე;
- თენგიზ ცენტერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში - წევრი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- ვალერი ყაჭეიშვილი – მუნიციპალიტეტის მერიის ეკომომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი - წევრი - კომისიის მდივანი;
- ნინო გიორგაძე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის საკითხებში - წევრი;
- ირაკლი მეგრელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ეკონომიკური განვითარების საკითხებში - წევრი;
- ბექა შენგელია – მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი - წევრი;
- ზაზა სიხარულიძე – მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მშენებლობის სანებართვო პირობების მონიტორინგის განყოფილების უფროსი – წევრი.

აღვნიშნავთ, რომ მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით, შევისწავლეთ შემდეგი შენობა-ნაგებობების ფაქტობრივი მდგომარეობა:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ბალანსზე რიცხული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. შუა ამაღლებაში მდებარე #28.05.22.212 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე #3 შენობა (სასოფლო ამბულატორიის შენობა), აგებულია 2002-2003 წლებში. იგი წარმოადგენს ერთ სართულიან ხის შენობას. შენობა არ შეესაბამება დღეის მდგომარეობით არსებულ სამშენებლო სტანდარტებს, იგი სრულად ამორტიზებულია და გამოუყენებელია ექსპლოატაციისათვის და თავისთავად გამოუყენებელია მუნიციპალიტეტისათვის, აღარ ფუნქციონირებს თავისი დანიშნულებით. შენობა ამახინჯებს მიმდებარე ტერიტორიის იერსახეს. ასევე, აღსანიშნავია, რომ დაგეგმილია ახალი შენობის მშენებლობა ამბულატორიის ფუნქციონირების მიზნით.
2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ბალანსზე რიცხული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზოტში #28.23.21.561 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე #1 შენობა (ადმინისტრაციული შენობა), რომელიც წარმოადგენს ორსართულიან ქვის შენობას. იგი გამოიყენებოდა მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების განსახორციელებლად. შენობა განადგურებულია ხანძრისაგან და გამოუსადეგარია ექსპლოატაციისათვის და თავისთავად გამოუყენებელია მუნიციპალიტეტისათვის, რაც ასევე, დადასტურებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 24 დეკემბრის საექსპერტო დასკვნით. შენობა ამახინჯებს მიმდებარე ტერიტორიის იერსახეს, გადაქცეულია ანტისანიტარიის კერად.

გამომდინარე აქედან, კომისია აღნიშნავს, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. შუა ამაღლებაში მდებარე #28.05.22.212 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე #3 შენობაზე, საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, წარმოდგენილ იქნას შესაბამისი ექსპერტის საინჟინრო დასკვნა, ხოლო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზოტში #28.23.21.561 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე #1 შენობა (ადმინისტრაციული შენობა) ექვემდებარება მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერას და შემდგომ დემონტაჟს,

კომისიის თავმჯდომარე: გ. გიორგაძე

კომისიის წევრები: თ. ცენტერაძე, ვ. ყაჭეიშვილი, ნ. გიორგაძე, ზ. შენგელია, ი. მეგრელიშვილი, ზ. სიხარულიძე